გამწვანების პროექტი

TASHUB

საპროექტო ტერიტორია: ქ. თბილისი,
უნივერსიტეტის ქ. N34
ს.კ: 01.14.05.009.080;
ფართობი: 900 კვ.მ; კ3=270 ვ.მ (0.3)
მესაკუთრე: შპს "ნაფეტვრები"
პროექტის შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"



პირობითი აღნიშვნები

მიწის ნაკვეთის საზღვრები	500 სიმაღლის ნიშნული
შენობა	ფოთლოვანი ხე
	წიწვოვანი ხე
	პალმა
	კპაარისი
	ბაზონი
	ბუჩქი
	ეკლიანი ბუჩქი
	ვენახი
	ჭის ლუქი
	ძეგლი
	ელ. ბოძი
	გაზის მილი
	ბრუნტის გზა

456000
4678900
UTM sistemis koordinatebi

ტოპოგეგმა		
მისამართი:	ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 34	
დამკვეთი:	შპს ნაფტვრები	
განყოფილების უფროსი		რ. აბესოვი
აზომა		ა. დამაცალაშვილი
დახაზა		რ. აბესოვი
მ: 1:500	ფართობი 900 კვ.მ.	18.12.2019

SezRuduli pasuxismgeblobis
sazogadoeba
“taqsacia”

Limited Liability Company
“Taxation”

საქართველო, ქ. თბილისი,დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,ვ.ბაგრატიონის ქ., N 52, ს/კ: 402038200

TEL:558235350

02.02.2020

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N34.

საკადასტრო კოდი: 01.14.05.009.080.

დამკვეთი: შპს „ნაფეტვრები". ს/კ 405331154.

ხე–მცენარეების აღრიცხვის უწყისი

დანართი-1

ხის N	სახეობა	გარშემო–წერილობა 10 სმ–ზე	დიამეტრი 10–სმ ზე სმ	დიამეტრი 130–სმ ზე სმ	შენიშვნა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7
1	თელა ჩვ		29.1		საღი	საღი
2	თელა ჩვ		6.3		საღი	შესამ გადარგვა
3	თელა ჩვ		11.5		საღი	შესამ გადარგვა
4	თელა ჩვ		7.3		საღი	შესამ გადარგვა
5	თელა ჩვ		9.9		საღი	შესამ გადარგვა
6	აკაცია		5.4		საღი	შესამ გადარგვა
7	თელა ჩვ		9.8		საღი	შესამ გადარგვა
8	თელა ჩვ		21.4		საღი	შესამ გადარგვა
9	თელა ჩვ		10.1		საღი	შესამ გადარგვა
10	თელა ჩვ		4.2		საღი	შესამ გადარგვა
11	იფანი		3.6		საღი	შესამ გადარგვა
12	თელა ჩვ		4.7		საღი	შესამ გადარგვა
13	იფანი		3.3		საღი	შესამ გადარგვა
14	თელა ჩვ		3.5		საღი	შესამ გადარგვა
15	თელა ჩვ		5.1		საღი	შესამ გადარგვა
16	თელა ჩვ		9.7		საღი	შესამ გადარგვა
17	ძეძვი		3.6		საღი	შესამ გადარგვა
18	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
19	თელა ჩვ		4.1		საღი	შესამ გადარგვა
20	ვაშლი		10.2		საღი	ხილ-კენკროვანი
21	თელა ჩვ		11.3		საღი	შესამ გადარგვა
22	ჭერამი		9.6		საღი	ხილ-კენკროვანი
23	ძეძვი		3.5		საღი	შესამ გადარგვა
24	ძეძვი		3.8		საღი	შესამ გადარგვა
25	ძეძვი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
26	თელა ჩვ		4.7		საღი	შესამ გადარგვა
27	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა

28	ძეძვი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
29	ასკილი		5.1		საღი	შესამ გადარგვა
30	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
31	ძეძვი		4.4		საღი	შესამ გადარგვა
32	თელა ჩვ		5.6		საღი	შესამ გადარგვა
33	ასკილი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
34	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
35	ძეძვი		3.4		საღი	შესამ გადარგვა
36	ძეძვი		4.1		საღი	შესამ გადარგვა
37	ძეძვი		3.6		საღი	შესამ გადარგვა
38	ასკილი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
39	ნეკერჩხალი ამერ		6.3		საღი	შესამ გადარგვა
40	ნეკერჩხალი ამერ		7.4		საღი	შესამ გადარგვა
41	ძეძვი		5.2		საღი	შესამ გადარგვა
42	ძეძვი		4.5		საღი	შესამ გადარგვა
43	ძეძვი		4.7		საღი	შესამ გადარგვა
44	ძეძვი		4.9		საღი	შესამ გადარგვა
45	თელა ჩვ		23.6		საღი	შესამ გადარგვა
46	ძეძვი		3.2		საღი	შესამ გადარგვა
47	ძეძვი		3.3		საღი	შესამ გადარგვა
48	ტუია		3.5		საღი	შესამ გადარგვა
49	ტუია		3.6		საღი	შესამ გადარგვა
50	ტუია		3.7		საღი	შესამ გადარგვა
51	ფიჭვი შავი		4.1		საღი	შესამ გადარგვა
52	ჭერამი		3.3		საღი	ხილ-კენკროვანი
53	კვიპაროზი ჰორიზ		3.2		საღი	შესამ გადარგვა
54	ტუია		3.6		საღი	შესამ გადარგვა
55	ვარდი		3.1		საღი	შესამ გადარგვა
56	კვიპაროზი ჰორიზ		3.8		საღი	შესამ გადარგვა
57	ტუია		3.2		საღი	შესამ გადარგვა

სულ ტერიტორიაზე აღირიცხა 57 ერთეული მწვანე ნარგავი, მათ შორის: აკაცია-1, ასკილი-3, ვარდი-1, ვაშლი-1, თელა ჩვ-18, იფანი-2, კვიპაროზი ჰორიზონტალური-2, ნეკერჩხალი ამერიკული-2, ტუია-5, ფიჭვი შავი-1, ძეძვი-19 და ჭერამი-2 ერთეული.

ტერიტორიის მესაკუთრის განცხადებით, სამშენებლო არეალში მოყოლილია 54 ერთეული (N 1 თელა ჩვ, 2 თელა ჩვ, 3 თელა ჩვ, 4 თელა ჩვ, 5 თელა ჩვ, 6 აკაცია, 7 თელა ჩვ, 8 თელა ჩვ, 9 თელა ჩვ, 10 თელა ჩვ, 11 იფანი, 12 თელა ჩვ, 13 იფანი, 14 თელა ჩვ, 15 თელა ჩვ, 16 თელა ჩვ, 17 ძეძვი, 18 ძეძვი, 19 თელა ჩვ, 20 ვაშლი, 21 თელა ჩვ, 22 ჭერამი, 23 ძეძვი, 24 ძეძვი, 25 ძეძვი, 26 თელა ჩვ, 27 ძეძვი, 28 ძეძვი, 30 ძეძვი, 31 ძეძვი, 33 ასკილი, 34 ძეძვი, 35 ძეძვი, 36 ძეძვი, 37 ძეძვი, 38 ასკილი, 39 ნეკერჩხალი ამერ, 40 ნეკერჩხალი ამერ, 41 ძეძვი, 42 ძეძვი, 43 ძეძვი, 44 ძეძვი, 45 თელა ჩვ, 46 ძეძვი, 47 ძეძვი, 49 ტუია, 50 ტუია, 51 ფიჭვი შავი, 52 ჭერამი, 53 კვიპაროზი ჰორიზ, 54 ტუია, 55 ვარდი, 56 კვიპაროზი ჰორიზ, 57 ტუია) ხე-მცენარე, საიდანაც 3 ერთეული (N 20 ვაშლი, 22 ჭერამი, 52 ჭერამი) ხილ-კენკროვანია და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ჭრის ან გადარგვის ნებართვას არ საჭიროებს.

ხოლო 50 ერთეული (N 2 თელა ჩვ, 3 თელა ჩვ, 4 თელა ჩვ, 5 თელა ჩვ, 6 აკაცია, 7 თელა ჩვ, 8 თელა ჩვ, 9 თელა ჩვ, 10 თელა ჩვ, 11 იფანი, 12 თელა ჩვ, 13 იფანი, 14 თელა ჩვ, 15 თელა ჩვ, 16 თელა ჩვ, 17 ძეძვი, 18 ძეძვი, 19 თელა ჩვ, 21 თელა ჩვ, 23 ძეძვი, 24 ძეძვი, 25

ძეძვი, 26 თელა ჩვ, 27 ძეძვი, 28 ძეძვი, 30 ძეძვი, 31 ძეძვი, 33 ასკილი, 34 ძეძვი, 35 ძეძვი, 36 ძეძვი, 37 ძეძვი, 38 ასკილი, 39 ნეკერჩხალი ამერ, 40 ნეკერჩხალი ამერ, 41 ძეძვი, 42 ძეძვი, 43 ძეძვი, 44 ძეძვი, 45 თელა ჩვ, 46 ძეძვი, 47 ძეძვი, 49 ტუია, 50 ტუია, 51 ფიჭვი შავი, 53 კვიპაროზი ჰორიზ, 54 ტუია, 55 ვარდი, 56 კვიპაროზი ჰორიზ, 57 ტუია) არის 25 სმ-მდე დიამეტრის და შესაძლებელია გადაირგოს სხვა ალტერნატიულ ადგილზე, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით, კერძოდ წინასწარ ორმოს მომზადება, გადასარგავი მცენარის ამოღება ბელტის დაუშლელად და გადარგვა წინასწარ გამზადებულ ორმოში, გაუკეთდეს სარწყავი ჯამი და მოირწყას რეგულარულად. ვინაიდან მცენარეების დიამეტრები არის მცირე და მცენარეები არიან ახალგაზრდები მათი გადარჩენის შანსი საკმაოდ დიდია.

1 ერთეული ხე-მცენარე (№ 1 თელა ჩვ) არის 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის და ხე-მცენარის დიამეტრის და ხის სიდიდან გამომდინარე, გადარგვა უნდა განხორციელდეს შემდეგი მეთოდოლოგიით:

1-ხე-მცენარის გადარგვის პერიოდი:

გადარგვა ხდება იმ პერიოდში, როდესაც მცენარე მოსვენების ფაზაშია (არასავეგეტაციო პერიოდი), მცენარის მოსვენების პერიოდი იწყება შემოდგომაზე, ჩვეულებრივ ფოთოლცვენის დროს (სექტემბერი-ოქტომბერი) და მთავრდება გაზაფხულზე (თებერვალი-მარტი). ეს არის ფიზიოლოგიური პროცესი, როდესაც მცენარეში წვენის მოძრაობა ჩერდება. წიწვოვნები, დახურული ფესვთა სისტემით, შეიძლება გადაირგოს მთელი წლის განმავლობაში, გარდა ზამთრისა (მიზანშეწონილია გადარგვა განხორციელდეს მცენარის არასავეგეტაციო პერიოდში).

2-ამოღება

ხე-მცენარეების დასარგავ ფართობამდე გადასატანად თავდაპირველად მათი ამოღებაა საჭირო. ამ პროცესის დასაწყისში ტოტები თავისუფლად (მოსვენებულად) უნდა შეიკრას. დიდტანოვენი ხე-მცენარეების შემთხვევაში ხდება ვარჯის გადაბელვა-ფორმირება. კომის სიდიდე განისაზღვრება ხის დიამეტრის დაახლოებით ათმაგი ოდენობით, (მაგ: D=30 სმ. კომის დიამეტრი =30 სმ * 10 = 300 სმ.). ხე-მცენარის კომის გარშემო, თხრილი ისე უნდა გავთხაროთ, რომ ის კომის დიამეტრს 1 მეტრით აღემატებოდეს. კომი მანამდე უნდა მოვთხაროთ, სანამ მისი ძირი არ მოიჭრება (სიღრმე დაახლოებით 2 მ) კომის გარეთ დარჩენილი ფესვები დიდი სიფრთხილით უნდა შევჭრათ, მას შემდეგ რაც კომი ნაწილობრივ გაშიშვლდება, უნდა მოხდეს ჯვალოს ნაჭერში შეფუთვა. დიდტანოვანი ხე-მცენარის შემთხვევაში შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ჰორიზონტალური ბურღვა სპეციალური ტექნიკის საშუალებით, რომლის შედეგადაც ხდება კომის ქვედა ძირის მყარ პლატფორმაზე ფიქსირება, ასევე პლატფორმის გარშემო, კომის გვერდითი კედლების ნაჭრით ამ ფიცრის მარტივი კონსტრუქციის, მკვრივი შეფუთვის უზრუნველყოფა, რათა თავიდან ავიცილოთ კომის დაშლა და ფესვთა სისტემის დაზიანება. ეს პროცესი კომის ძირიდან უნდა დაიწყოს და ფესვის ყელამდე შეიფუთოს. ხე-მცენარის უსაფრთხოდ გადასატანად სანდოდ უნდა მიემაგროს სატრანსპორტო საშუალებაზე, რათა არ მოხდეს მისი მექანიკური დაზიანება.

3 ხე-მცენარის დარგვა.

არ არის მიზანშეწონილი ხე-მცენარის დიდი ხნით ღია ფესვებით გაჩერება, შეძლებისდაგვარად დროულად უნდა მოთავსდეს წინასწარ მომზადებულ ორმოში, რათა არ მოხდეს ფესვების გამოშრობა და დაზიანება. ხე-მცენარის ორმოში მოთავსების დარჩენილი სიცარიელე საგულდაგულოდ უნდა ამოივსოს ნიადაგით,

კარგად მიიტკეპნოს და მოირწყას, რის შედეგადაც ხდება ჟანგბადის გამოდევნა ნიადაგიდან და ფესვთა სისტემის უშუალო, მჭიდრო კავშირი ნიადაგთან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიება უნდა განხორციელდეს სპეციალური მძიმე ტექნიკის საშუალებით, კერძოდ: ამწეკრანი-არანაკლებ 15 ტონიანი ტვირთამწეობით, იგივე ტვირთამწეობის ექსკავატორით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილით.

გადარგვის შემდგომ აუცილებელია მოხდეს ხე-მცენარის არანაკლებ სამი მხრიდან დაფიქსირება მკვრივი თოკით, რომელიც ერთის მხრივ მიმაგრებულია ხე-მცენარის ღეროზე 4-5 მეტრის სიმაღლეზე, ხოლომ მეორეს მხრივ მიწაში არანაკლებ 1 მეტრის სიღრმეზე ჩარჭობილი მეტალის ან ხის ბოძებზე, რომელიც დაახლოებით 45 გრადუსი კუთხით უნდა იყოს დახრილი და საიმედოდ მიმაგრებული, ადგილი სადაც ხდება თოკსა და ხე-მცენარის შორის კონტაქტი უნდა იყოს ჯვალოს მკვრივი ნაჭრით შემოხვეული მცენარის ღეროზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ქარის დროს რყევის შედეგად ხე-მცენარის ღეროს მექანიკური დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მავნებლის ან დაავადების კერის შექმნა და დროთა განმავლობაში ხე-მცენარის ხმობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღონისძიების დასრულების შემდგომ მიზანშეწონილია ხე-მცენარის სასუქით და სხვა მკვებავი საშუალებებით დამუშავება, რაც ხელს შეუწყობს გადარგვის შემდგომი სტრესის დაძლევას და ხე-მცენარის მოძლიერებას.

გადარგვა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ტექნიკის და სათანადო გამოცდილების პერსონალის მეშვეობით, აუცილებლად სატყეოს დარგის სპეციალისტების დაკვირვების ქვეშ, ზემოთ ჩამოთვლილი აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

აქვე გაცნობებთ, რომ ტერიტორიაზე აღრიცხული ხე-მცენარეები არიან საღ მდგომარეობაში.

ხოლო დანარჩენი ხე-მცენარეები (N 29 ასკილი, 32 თელა ჩვ, 48 ტუია) არ შედიან სამშენებლო არეალში.

შემსრულებელი: ს. ფიცხელაური. მეტყევე-

ინჟინერი, ექსპერტი.

განმარტებითი ბარათი

საპროექტო არეალი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N34 ს.კ: 01.14.05.009.080;
ნაკვეტის ფართობი: 900 კვ.მ;
ფუნქციური ზონა: სზ-3; (03);
კ3 კოეფიციენტის ასათვისებელი ფართი: 270 კვ.მ;

ტერიტორიაზე განთავსებულია 57 ძირი ნარგავი, მათგან 6 ძირი(20, 22, 29, 33, 38, 52) ხილკენკროვანია, 31 ძირი მწვანე ნარგავი (1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 12, 14, 15, 16, 19, 21, 26, 32, 45, 6, 51, 11, 13, 39, 40, 53, 56, 48, 49, 50, 54, 57) გადაირგვება იმავე საკადასტრო ერთეულში,ხოლო 20 ძირი ბუჩქი (55, 17, 18, 23, 24, 25, 27, 28, 30, 31, 34, 35,36, 37, 41, 42, 43, 44, 46, 47) მოიჭრება აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის შემდეგ. დანარტის სახით წარმოდგენილია გარემოს დაცვის სამსახურის 2020 წლის 02 მარტის N18-01200622026 წერილით გაცემული ადმინისტრაციული დაპირება;

ტერიტორიაზე ახალი მწვანე სივრცის შესაქმნელად დაირგვება 6 ძირი ჰიმალაის კედარი, ნერგების სიმაღლე იქმება არანაკლებ 3.0 მეტრი, ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ.

ახლად დარგული და ტერიტორიაზე გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა 3 წელი, მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე: შპს “ნაფეტვრები”



ფორმატი	დაკვეთა №	პროექტი №	ფაილის სახელი
A3			

პროგრამის აღნიშვნები

საკადასტრო საზღვარი

დასარგავი წიწვოვანი ხეები

დასარგავი ფოთლოვანი ხეები

გადარგული ხე

3 მცენარის ნომერი ექსპლიკაციაში

დასარგავი სახეობა:
ჰიმალაის კედარი / Cedrus deodara 6 ძირი
სიმაღლე 3.0 მეტრი
ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ

შენიშვნები

1.ნახაზზე ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იქოს პროექტის ავტორთან
2.ფურცლის კორექტირებით ავტომატურად უქმდება ყონა ვარიანტი

TASHUB

პროექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N34
ს.კ:01.14.05.009.080

ფართობი:	900 კვ.მ	კ3=270 კვ.მ
ნაკვეთის მესაკუთრე:	შპს "ნაფეტვრები"	
	ს/კ:405331154	

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
კომპანია (შპს)	ტასჰაბი	
დირექტორი	სერგო გირგაია	

პროექტის შემსრულებელი:
შპს "ტასჰაბი"

დამკვეთი:
შპს "ნაფეტვრები"
ს/კ:405331154

TASHUB

დასარგავი ხის ვიზუალიზაცია



სახეობა: ჰიმალაის კედარი / Cedrus deodara
სიმაღლე: 3,0 მეტრი
ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ
რაოდენობა: 6 ძირი

წერილის ნომერი: **18-01200622026**
თარიღი: **02/03/2020**
პინი: **2366**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 4 თებერვლის N60-0120035212 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე ალექსანდრე კორკოტაშვილის N: AR1711333 განცხადება), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, შპს „ნაფეტვრების“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N34 ს.კ.: 01.14.05.009.080; ფუნქციური ზონა: სზ-3) III კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები რაოდენობის, 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა ან/და გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, **6 ძირი ნარგავი (N: 20, 22, 29, 33, 38, 52), განეკუთნება ხილ-კენკროვანთა ჯგუფს, შესაბამისად, განმცხადებელს არ სჭირდება სამსახურის ნებართვა იმისთვის, რომ მოჭრას ან/და გადარგოს აღნიშნული ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავები.**

ასევე მოგახსენებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავის გარდა უნებართვოდ მოიჭრება ან/და გადაირგვება სხვა სახეობის მწვანე ნარგავი, სამართალდარღვევის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ასევე, დადგენილების 21-ე, 21^1-ე და 21^2-ე მუხლების საფუძველზე, ასევე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტოპო. გეგმისა და საექსპერტო დასკვნის (მათ, შორის გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაციის) გათვალისწინებით, 1 ძირი აკაცია (N6-დ.5.4), 1 ძირი შავი ფიჭვი (N51-დ.4.1სმ), 2 ძირი ჩვ. იფანი (N11-დ.3.6სმ, N13-დ.3.3სმ), 2 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი (N39-დ.6.3სმ, N40-დ.7.4სმ), 2 ძირი ჰორიზონტალური კვიპაროსი (N53-დ.3.2სმ, N56-დ.3.8სმ), 5 ძირი ტუია (N48-დ.3.5სმ, N49-დ.3.6სმ, N50-დ.3.7სმ, N54-დ.3.6სმ, N57-დ.3.2სმ) და 18 ძირი ჩვ. თელა (N**1-დ.29.1სმ;** N2-დ.6.3სმ, N3-დ.11.5სმ, N4-დ.7.3სმ, N5-დ.9.9სმ, N7-დ.9.8სმ, N8-დ.21.4სმ, N9-დ.10.1სმ, N10-დ.4.2სმ, 12-დ.4.7სმ, 14-დ.3.5სმ, N15-დ.5.1სმ, N16-დ.9.7სმ, N19-დ.4.1სმ, N21-დ.11.3სმ, N26-დ.4.7სმ, N32-დ.5.6, N45-დ.23.6სმ), **სულ - 31 ერთეული საღი, მცირე და საშუალო ზომის სიდიდის მწვანე ნარგავები,** რომლებიც მდებარეობს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე აფერხებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. აგრეთვე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ნარგავების იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვით არ დაირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, **შესაბამისად, სამსახური თანახმაა გასცეს მოცემული 31 ძირი მცენარის იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვა, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს, სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის წერილობით ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.**

გარდა ამისა მოგახსენებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, წარმოდგენილი მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნისა და ტოპო. გეგმის გათვალისწინებით, 1 ძირი ვარდი (N12-დ.2სმ) და 19 ძირი ძეძვი (N17, 18, 23, 24, 25, 27, 28, 30, 31, 34, 35, 36, 37, 41, 42, 43, 44, 46, 47), **სულ - 20 ერთეული საღი ბუჩქი,** განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე და აფერხებს სამშენებლო სამუშაოებს. შესაბამისად, **სამსახური თანახმაა გასცეს მათი მოჭრის ნებართვას მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც განმცხადებელი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობასა და აღდგენითი ღირებულების გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.**

განმცხადებელს 20 ძირი ჯანსაღი ნარგავის მოჭრის ნებართვის მისაღებად ეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდა, რომელიც კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ცხრილი N4-ის შესაბამისად, **შეადგენს 1080 (ათას ოთხმოცი) ლარს (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი).** აღნიშნული თანხა დაინტერესებულმა პირმა უნდა შეიტანოს ერთიან სახაზინო ანგარიშზე (სახაზინო კოდი - №300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

რიგის №	ხის №	მწვანე ნარგავის სახეობა	დიამეტრი (სმ) ან წლიური რგოლი	აღდგენითი ღირებულება
1	55	ვარდი	3.1	45
2	17	ძეძვი	3.6	45
3	18	ძეძვი	3.2	45
4	23	ძეძვი	3.5	45
5	24	ძეძვი	3.8	45
6	25	ძეძვი	3.1	45
7	27	ძეძვი	3.2	45
8	28	ძეძვი	3.1	45
9	30	ძეძვი	3.2	45
10	31	ძეძვი	4.4	75
11	34	ძეძვი	3.2	45
12	35	ძეძვი	3.4	45
13	36	ძეძვი	4.1	75
14	37	ძეძვი	3.6	45
15	41	ძეძვი	5.2	75
16	42	ძეძვი	4.5	75
17	43	ძეძვი	4.7	75
18	44	ძეძვი	4.9	75
19	46	ძეძვი	3.2	45
20	47	ძეძვი	3.3	45
სულ - 1080				

ამდენად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი **(გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული)**, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული

ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით **(გარდა, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვისა).**

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები (გარდა ხილ-კენკროვანი მცენარეებისა), ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

შემსრულებელი: შპს "ტასჰაბი"

საპროექტო არეალი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N34
ს.კ: 01.14.05.009.080

ნებართვის გამცემი ორგანო : ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური .

კ-3=270 კვ.მ (0.3)

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი :

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი : 2022 წელი





დასარგავი მცენარეები

6 ძირი ჰიმალაის კედარი / Cedrus deodara

ნერგის სიმარლე 3.0 მ.

ღეროს გარშემოწერილობა 20 სმ.

გადასარგავი: 31 ძირი მწვანე ნარგავი

ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი :
შპს "ნაფეტვრები" ს/კ: 01.14.05.009.080

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი